ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 247 (19988) ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

## ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ „ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲣᲤᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ-ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲦᲝᲠᲜᲘᲡᲘᲫᲘᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲙᲣᲠᲡᲘ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲔᲠᲝ-ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲙᲣᲠᲡᲘ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲔᲠᲝ-ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲔᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.**

საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ლ. ნ. ზაიკოვი და ი. კ. ლიგაჩოვი, სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტის, რადიო და ელექტრონული მრეწველობის სამინისტროების, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს და სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

აღინიშნა, რომ მოკლე დროში დამთავრდა სასკოლო პერსონალური ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების თანამედროვე მსოფლიო დონის შესაბამისი ორი საბაზო მოდელის დამუშავება და დაიწყო მათი სერიული წარმოება. სულ მეთორმეტე ხუთწლედში მრეწველობა განათლების სფეროს მიაწვდის ნახევარ მილიონზე მეტ ასეთ ელექტრონულ-გამოთვლითს მანქანებს. მომზადდა და მასობრივი ტირაჟით გამოიცა „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ კურსი, საჭირო სამეცნიერო-მეთოდიკური მასალები. დაწყებულია გამოკვლევები, რომლებიც დაკავშირებულია სკოლებში, ტექნიკუმებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მთელი რიგი ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური დისციპლინების სწავლებისათვის განკუთვნილი კომპიუტერების გამოყენებასთან.

განხორციელებულ სამუშაოს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მომზადდეს საბჭოთა ადამიანების ახალგაზრდა თაობა სახალხო მეურნეობის ელექტრონიზაციის პრობლემების გადაჭრისათვის.

ამავე დროს დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის პასუხისმგებელი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ყურადღება მიპაყრეს იმას, რომ უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შემოკლდეს სასწავლო გამოთვლითი ტექნიკის კომპლექტებით ქვეყნის ყველა საშუალო სასწავლებლის აღჭურვის ვადები, მნიშვნელოვნად შეიცრდეს მათი დამზადების შრომატევადობა და ღირებულება, უზრუნველყონ ამ ტექნიკისა და პროგრამული საშუალებების კომპლექტური მიწოდება, აგრეთვე ახალი სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დაპროექტება გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით მათი აღჭურვის გთვალისწინებით.

ლ. ნ. ზაიკოვი და ი. კ. ლიგაჩოვი გაეცნენ საბჭოური სასწავლო გამოთვლითი ტექნიკის კომპლექტების ნიმუშებს, რომლებიც დაიწყო საშუალო სასწავლებლების აღჭურვა, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენებით სწავლების მეთოდოლოგიასა და პედაგოგიური პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მდგომარეობას.

სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტის ინფორმატიკის ცენტრში, რომელიც სმოლენსკის ბულვარზე გაიხსნა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები გაეცნენ მთელ რიგ ახალ სახეობათა მომსახურებას, რომლებსაც უწევენ მოსახლეობასა და საწარმოებს: ბავშვებისა და ყმაწვილების დასვენების ორგანიზაციას კომპიუტერული თამაშების გამოყენებით, ნაღდ ანგარიშზე პერსონალური ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების დროის გამოყოფას სხვადასხვა მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანის გადასაწყვეტად, ინფორმატიკის დარგში კონსულტაციების მოწყობას, აგრეთვე კომპიუტერული ცოდნის შეძენის ჯგუფურ და ინდივიდუალურ ფორმებს.

დასახულია ამოცანა კიდევ უფრო განვითარდეს ქვეყნის ყველა რეგიონში ინფორმაციულ-გამოთვლითი მომსახურება, რათა მოსახლეობის ფართო ფენებს შეეძლოთ გამოიყენონ პერსონალური ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანები ყოფა-ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში.

(ᲡᲐᲥᲓᲘᲡ).

## ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 150 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲯᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲖᲔᲘᲛᲘ

# ᲨᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲨᲔᲜᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ

### ᲣᲕᲐᲠᲔᲚᲘ...

**ᲐᲘ** ყვარლის მთები. როგორც ყოველთვის, ამ დროს აქ თავს იყრიან და იფანტებიან ღრუბლები და სოიკარი ჩრდილები დასთამაშებენ ტყეებს. ამ მიწის, უკვე თავისი ხალხის მომავლის საზრუნავით გადატვირთულ შვილს რამდენჯერ დაუფლებია ტკბილი ოცნებანი ამ განუმეორებელი სილამაზის ხილვის დროს.

რა ფიქრები დაუფლებოდა მას მაშინ? ალბათ, მწარე ფიქრები მიწათმოქმედთა ჭირ-ვარამზე, რომლებსაც მოულოდნელად ვაზმაც კი უღალატა, როცა რაღაც საოკარი უცხო დაავადებით დასნეულდა. გლეხის მშველელი კი არავინ იყო.

მაგრამ შემთხვევითი არ არის, რომ ყვარელში ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის ზეიმზე ჩამოსულმა მრავალმა სტუმარმა უცებ პორტრეტზე გამოხატულ მის თვალებში დაინახა სიმშვიდე. თითქოს, როგორც იყო, იგრძნო ჩვენმა დიდმა წინაპარმა, რომ ყველა მისი ოცნება ახდა. მისმა ხალხმა დიდი ხანია გამოიღვიძა და რამდენიმე ათწლეულში განვლო საუკუნეთა ტოლი გზა, დაიპყრო უმაგალითო მწვერვალები კულტურული და სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში. სამაგალითოდ შეიძლება მოვიყვანოთ, თუნდაც, მეზობელი შილდა, რომლის მცხოვრებლები ოდესღაც ძლივს ირჩენდნენ თავს. ახლა აქ მძლავრი საზოგადოებრივი მეურნეობაა, რომელსაც დაახლოებით 1700 ჰექტარი ვენახები აქვს. მათ ამუშავებს მძლავრი ტექნიკა — კოლმეურნეობას 98 ტრაქტორი, 5 თვითმავალი მარცვლეულის ასაღები კომბაინი აქვს. არადა, სულ სამოცი წლის წინათ ამდენი მექანიზმი მთელ საქართველოში არა ყოფილა. მაგრამ ეს უკვე როდი აკვირვებს მოდგმით მევენახეებს გიორგი ბერიაშვილს, ალექსი ცისკარიშვილს, სოლომონ ტოგონიძესა და სხვებს, რომლებიც ილია ჭავჭავაძის დღესასწაულზე მოვიდნენ. და გაბა მარტო ისინი მოვიდნენ. ამ შაბათის დილას ყვარელში შეხვდნენ რაიონის ყველა სოფლის მოსწავლეები და პედაგოგები. აქვე ქუჩაში სახალხო განათლების ვეტერანები ხვდებოდნენ თავიანთ ყოფილ მოწაფეებს და ყურადღებით უსმენდნენ მათ პასუხს. მასწავლებლებს ბევრი რამ ჰქონდათ საამაყო.

გუნდს, რომელმაც ილია ჭავჭავაძის ყოფილ მარანში „მრავალჟამიერი“ დაიგუგუნა, მჭახარედ უკრავდა ტაშს ზეიმზე შორეული იაპონიიდან ჩამოსული ოტანი ფუკასი, რომელმაც სამშობლოში შექმნა საქართველოს შემსწავლელი სპეციალური კულტურული ცენტრი. გასაგებია, რომ ცენტრი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს პოეტისა და მოაზროვნის შეხედულებებისადმი, რომელმაც ახალი ეპოქა შექმნა ქართველი ხალხის ისტორიაში.

საერთოდ, ამ ხალზმრავალ დღესასწაულზე არ გვშორდებოდა გრძნობა, რომ საქართველოს მეგობრულ ურთიერთობას მოუცავს ფაქტობრივად მთელი დედამიწა. დასავლეთგერმანელი პოეტი მარტინ ბუხორნი გულითადად ესაუბრებოდა ქართულ ენაზე მორის ფოცხიშვილს. სხვათა შორის, თავის შვილებს ბუხორნმა მორისი და ლილი დაარქვა, რითაც გამოხატა თავისი დამოკიდებულება ჩვენი ხალხისადმი, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისადმი. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების გამო თავისი აღტაცება თურქმა პოეტმა თაჰსინ სარჯაზმა ამით გამოხატა, რომ მრავალათასიან საზეიმო შეკრებაზე, რომელიც ქალაქის სტადიონზე გაიმართა, თურქულად წაიკითხა პოეტის ნაწარმოებთა თავისეული თარგმანები, თაჰსინ სარაჯი აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელია.

ძნელია აუღელვებლად გადაადიოჯო დიდი ილიას სახლ-მუზეუმის კარიბჭეს. აქ სტუმრებს შეხვდა მუზეუმის დირექტორი ილია ბეროშვილი, რომელმაც ამ კეთილშობილურ საქმეს სიცოცხლის მრავალი წელი მოახმარა. მისი მეუბნებით არის, რომ ახლა სახლ-მუზეუმის ფონდებში დაცულია ოთხი ათასზე მეტი ექსპონატი, რომლებიც ასახავენ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

სახალხო დღესასწაულის მონაწილენი კვლავ შეხვდნენ ყვარლის ქუჩებში ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გმირებს, მოისმინეს მრავალი საუკუნის წინათ შობილი სიმღერები, რომლებიც დღესაც ცოცხლობენ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების დაუცხრომელი მეცადინეობის მეოხებით. საქართველოში არ არის ისეთი კუთხე, რომელსაც არ შეხებოდეს ამ ჭეშმარიტად ლეგენდარული ადამიანის ზრუნვა, რომელმაც შეზამებული იყო დიდი ჭკუა, სოიკარი შრომისმოყვარეობა და ნებისყოფა.) ერთად შეკრებილმა და სამშობლოსათვის შეწირულმა ყოველივე ამან შექმნა კიდეც მასაზრდოებელი ნიადაგი, რომელშიც კვლავ გაღვივდა ხალხის აღმშენებლობითი და შემოქმედებითი ნიჭი, იმიტომ, რომ ეს ნიადაგი ნაყოფიერდებოდა ადამიანის არსის უმაღლესი ნიჭით — ხალხის უსაზღვრო სიყვარულით.

გაივლის საუკუნეები და სანამ თავისი შვილის მშობელი ხალხი არსებობს, სანამ არსებობს მისი ენა, მეხსიერებაში არ წაიშლება პოეტისა და მოაზროვნის ნათელი სახე.

### ...ᲡᲐᲒᲣᲠᲐᲛᲝᲨᲘ

**ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐᲜᲘ** შემოდგომის მზით შეხვდა საიუბილეო ზეიმს მონაწილეებს მცხეთის რაიონი, რომელმაც სიამაყით აღნიშნა გასულ შაბათს დიდი ილია ჭავჭავაძის იუბილე. აქ, საგურამოში, მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მწერალი ჰუმანისტი, მშრომელი ხალხის წიაღში ტრიალებდა და მათი სახეები აღბეჭდა თავის უკვდავ ქმნილებებში.

პირველი გაჩერება მცხეთის კართან გვქონდა. ბაზალტის კიბის 150 საფეხურს აკვადარი ილია ჭავჭავაძის ძეგლთან, რომლის ავტორია საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე ლ. მხეიძე. მაღალ კვარცლბეკზე აღმართული დიდი პოეტის ბრინჯაოს ფიგურა. იგი თითქოს იმეორებს თავის ცნობილ სტრიქონებს — „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“... აქ გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონის მხატვრული კოლექტივები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

... მანქანების კორტეჟი მიემართებოდა ილიას ფამილიარული სახლ-მუზეუმისაკენ. ეს ადგილი ბევრ ეროვნულ-ეროვნულ ფენომენთან ერთად ასახავს ეროვნული ინტელიგენციის ბედ-იღბალს, ეროვნული ინტელიგენციის ბედ-იღბალს, ეროვნული ინტელიგენციის ბედ-იღბალს,

## ანგარიშგება-არჩევნები

# უფლებას გამოყენება უნდა

**პარტიული** კრება ის ადგილია, სადაც მთელი სიგრძე-სიგანით უნდა გამოჩნდეს მთელი საქ-ტრი პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახული მრავალწახნაგოვანი ამოცანებისა და პრობლემებისა. როგორ ასრულებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა თავის ფუნქციას? რა არის საჭირო იმისათვის, რომ მწირი არ იყოს სკოლიდან გატანებული საგზალი, რომ მას დამატებითი საფანელი აღარ სჭირდებოდეს ხოლმე? ვნახოთ, როგორ უპასუხებს ამ კითხვებს თბილისის 50-ე საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება.

არის თუ არა ჩვენი პარტიული ორგანიზაცია ბრძოლისუნარიანი? — ასე დასვა საკითხი თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტორგანიზაციის მდივანმა ნინო ახვლედიანმა, და თავადვე უპასუხა — არისო. თუმცაღა, აქვე აღნიშნა, ნაკლოვანებებისგან დაზღვეული არა ვართო.

— ჩვენ უთუოდ უნდა ვგრძნობდეთ დროის მაჯისცემას, ნაკლოვანებებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულების უფლება არა გვაქვს. როდესაც საერთო სიტუაცია იცვლება, უკან ყურება არ შეიძლება, გუშინდელი მეთოდებით მუშაობა აღარ იქნება, ახალი ფორმები უნდა შემოვიღოთ...

უსმენ მომხსენებლის ამ სიტყვებს და გრძნობ, ამ ზოგადი ფრაზების მიღმა უკვე საქმე რომ გამოჩნდეს, ის დროა, მაგრამ... წინდაწინ ვიტყვი, კრებას კონკრეტულად არ უმსჯელია კონკრეტულ პრობლემებზე. ითქვა, რომ შეცდომა დაუშვეს საწევროების აკრეფაში (თვითკრიტიკას ხარკი გადაუხადეს), რომ განმტკიცეს დისციპლინა (თ. ფარადაშვილი), მუყაითად მუშობენ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები (მ. მახარაშვილი), პოლიტმეცადინეობები სკოლის დირექტორის, პროპაგანდისტ ვლადიმერ შაბუნინის შემწეობით კარგად მიმდინარეობს, რომ აგიტკოლექტივებმა კარგად იმუშავეს საარჩევნო კამპანიის დროს და ასე შემდეგ...

სხვა რომ არა იყოს, მუყაითი მუშობა რას ნიშნავს, კონკრეტულად ვერ გამოჩნდა კრებაზე. სამაგიეროდ გაკვრით, მაგრამ მაინც ითქვა, რომ ამას ვინ ჩიგის, კომკავშირული ორგანიზაცია თურმე საშუალოდაც ვერ ასრულებს თავის ფუნქციას და მოსწავლეები კომკავშირული საქმიანობის ანაბანასაც ვერ სწავლობენ. თვის ბოლოს შეკამოწმებთ, თუ როგორ სრულდება აქ მიცემული მითითებებიო, ითქვა კრებაზე. რა მითითებებზე იყო საუბარი, საერთოდ რა ამოცანები დგას დღეს ამ ორგანიზაციის წინაშე, რა შეძლეს, რა ვერა, რა დასაკვნები გამოიტანეს წარსულის შეცდომებიდან, რას აპირებენ სამომავლოდ... ეს კითხვები არც დასმულა და, ამდენად, არც პასუხი გაუცია ვინმეს.

კრებაზე საერთოდ უყურადღებოდ დარჩა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, როგორიც გაკვეთილის ხარისხის გაუმჯობესებაა. სიტყვა არ თქმულა არც ერთი ნოვატორი პედაგოგის მუშაობის გამოცდილებაზე. ნუთუ ამგვარი მასწავლებელი ერთიც არ არის სკოლაში! სამაგიეროდ კრებაზე დიდი ადგილი დაეთმო იმ საკითხის გადაწყვეტას, თუ ვინ უნდა წაიყვანოს პროფტექნიკურ სასწავლებელში მოსწავლე — სკოლის ორგანიზატორმა თუ კლასის დამრიგებელმა?! საინტერესოა, ამგვარი მუშაობით როგორ უნდა დაიკავოს საასკოლო რეფორმამ საყოველთაოსახალხო გარდაქმნაში თავისი კუთვნილი მნიშვნელოვანი ადგილი? როგორ უნდა ვუპასუხოთ საქმით ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას თუ უფლებას, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის წინაშე დგას — თვითმმართველობის რაც შეიძლება გაღრმავება, მისი საშუალებების სრულად გამოყენება და ა. შ.

პირველ სექტემბერს მშვიდობის გაკვეთილის ჩატარება და ღია გაკვეთილების გეგმის შესრულება, ბიბლიოთეკის კარგი მუშაობა იმ ზღვა პრობლემებში წვეთადაც რომ არ მოჩანს, განა ეს საჩინო არ უნდა ყოფილიყო კრების მონაწილეთათვის?

პიონერულმა ორგანიზაციამ ბევრი ღონისძიება მოაწყოო, ითქვა, ღონისძიებები კი თვითმზანი როდია. მთავარია მათი ეფექტი, შედეგი, არც ამაზე თქმულა რამე.

შარშან 47 კურსდამთავრებულიდან 17 რომ ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში, ეს ურიგო არ არის, თუმცაღა, ესეც და დღეს ეს დასამალი აღარავისთვის არის, მშობლების დამატებითი ძალისხმევის შედეგი უფროა, ვიდრე სკოლის შეფასების ფერტერეოში. უთუოდ საქმეა სკოლის კოლექტივი იმისათვის, რომ ყველა კურსდამთავრებული დასაქმებული. იქნებ კიდეც არის მათს მუშაობაში მომენტები, რომლებზეც ღირდა ყურადღების გამახვილება (თუმცაღა კომუნისტმა იური სარახატუნოვმა, რომელსაც მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმება ევალებოდა, ბოლომდე მიყვანილი და თავადგმული ვერც ერთი დადგენილება ვერ დაასახელა), მაგრამ რატომღაც კომუნისტებს მხედველობიდან გამორჩათ. ავლავ ცნობილი სტერეოტიპი: კრების სცენაზე ვდგავართ, მკლავებდაკაპიწებული კი არ ვმუშაობთ. მხოლოდ გულისტკივილი ჩვენი მომავალი თაობის ბედზე თუ იგი საქმით არ არის გამოხატული, არას გვარგებს. გარდაქმნით და სასკოლო რეფორმით მინიჭებულ უფლებას გამოყენება უნდა, მისი ბედი ჩვენს ხელთ არის, ისევე როგორც ჩვენს ხელთ არის ჩვენივე შვილების, ანუ ქვეყნის მომავლის ბედი.

**გ. ხარებაშვილი.**

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# გარდაქმნა დუნედ მიმდინარეობს

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ანგარიში მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის მუშაობის გარდაქმნის მიმდინარეობის შესახებ.**

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტი, საქალაქო აღმასკომი გარკვეულ ყურადღებას მიაპყრობენ სოციალური ამოცანების გადაწყვეტას. მაგრამ ღონისძიებები საკმარისი თანამიმდევრობით არ ხორციელდება. ქალაქში ჯერ კიდევ სრულად ვერ შეიგნეს, თუ რაოდენ საჭიროა განხორციელდეს ძლიერი სოციალური პოლიტიკა, როგორც დაჩქარების დიდი რეზერვი. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურო, ქალაქის აღმასკომი არ ეწევიან სამეურნეო ხელმძღვანელების აზროვნებისა და პრაქტიკული მოქმედების გარდაქმნისთვის მუშაობას, რომლის მიზანია სასიკეთო პირობები შეუქმნას მაღალნაყოფიერ შრომას, ადამიანების სრულფასოვან ყოფას.

კერძოდ, ნელი ტემპით ხორციელდება ხელის შრომის მექანიზაცია. ყოველ მეორე საწარმოში პერსონალის ნახევარზე მეტი მძიმე ფიზიკურ და ჯანმრთელობისათვის მავნე შრომას ეწევა. ბოლო სამი წლის მანძილზე ქალაქის შახტებში ტრავმატიზმის ათობით შემთხვევა იყო, მათ შორის ზოგიერთი სიკვდილით დამთავრდა. სახალხო მეურნეობის ბევრ ადგილმრივ ობიექტზე არა აქვთ საწარმოო ყოფის ისეთი ელემენტარული პირობებიც კი, როგორიც არის გარდერობი, შხაპები, პირსაბნები, ქალთა ჰიგიენის ოთახები. ბრიგადალი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები შეეგუენ ასეთ მდგომარეობას, ჯეროვან სიმტკიცესა და პრინციპულობას არ იჩენენ სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრაში.

ქალაქის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა ვერ მიაღწიეს ძირეულ გარდატეხას საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენებლობის გეგმების შესრულებაში. გასულ ხუთწლედში ამ მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრები ათვისებულია შესაბამისად მხოლოდ 91 და 82 პროცენტით, მაგრამ საგრძნობი ძვრები ამ ხუთწლედშიც არ მომხდარა. ჯერჯერობით აქ მხარდაჭერა ვერ პოვა საავტომობილო ქარხნის კოლექტივის ინიციატივამ, სამეურნეო მეთოდს არ იყენებენ ბინების შენებლობაში. ხშირად ირღვევა დადგენილი წესები იმ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის დროს, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება სჭირდებათ, აგთეთვე მათი რიგის განსაზღვრის, ბინების განაწილებისას.

ქალაქში სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებას. საბავშვო ბაღებსა და ბაგებზე მოთხოვნილება სანახევროდაც ვერ კმაყოფილდება. ცუდად არის ორგანიზებული ბავშვებისა და მოზარდების საზაფხულო დასვენება. უვარგის შენობაშია მოთავსებული ჯანმრთელობის დაცვის მეტი წილი ობიექტები, აკლიათ კვალიფიციური ექიმები, სუსტად წარმოებს პროფილაქტიკური მუშაობა, რის გამოც იზრდება ავადმყოფობის გამო დროებითი შრომისუუნარობის მაჩვენებელი. გასაკვირვებელია კულტურის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ხშირად კლუბები, ბიბლიოთეკები მოუვლელია, არ თბება ზამთრობით.

ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნებს სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურეობაც. ბოლო სამი წლის განმავლობაში საქონლბრუნვის მოცულობა შემცირდა 6, ხოლო გაწეული მომსახურებისა 23 პროცენტით. შეფერხებებია საკმარისი ასორტიმენტის საქონლით მოსახლეობის მომარაგებაში, ცუდად უზრუნველყოფენ პროდუქტებით მუშთა სასადილოებს. სახალხო მეურნეობის ობიექტები არ ავითარებენ მოსახლეობის ფასიან მომსახურებას. არ იყენებენ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის პროგრესულ ფორმებს. ნაკლებ ყურადღებას უთმობენ კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებას. არ ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი, რათა ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენების მეოხებით გააუმჯობესონ სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება. ყოველ მეორე საწარმოს არა აქვს დამხმარე მეურნეობა.

მშრომელების ყოველდღიური საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი არასაკმარისი ყურადღების, მოუწყობელი ყოფის შედეგია მოსახლეობის მიგრაცია, ძნელდება სტაბილური შრომითი კოლექტივების ჩამოყალიბება. მეთერმეტე ხუთწლედში ტყიბულის მოსახლეობა შემცირდა 6,5 პროცენტით, ბოლო სამი წლის განმავლობაში ქალაქის ზონის სოფლის ახალგაზრდობის რიცხვმა 21 პროცენტით იკლო.

ადამიანის ფაქტორის როლის შეუფასებლობამ, სოციალურ სფერონი ნაკლოვანებებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონის ეკონომიკაზე. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დახარჯული სახსრები არ იძლევა შესაბამის უკუგებას, შენელდა წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, გაუარესდა ძირითადი ფონდების გამოყენება, საშუალო ხელფასის ზრდა კი უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

აღნიშნული ნაკლოვანებები უწინარეს ყოვლისა იმის ბრალია, რომ ტყიბულის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნელი ტემპით იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს, რათა ღრმა თვისებრივი ცვლილებები მოხდეს ეკონომიკურ და სახოგადოებრივ ცხოვრებაში. პარტიის საქალაქო კომიტეტმა ვერ მიაღწია არსებით ძვრებს დისციპლინის, ორგანიზებულობისა და წესრიგის განმტკიცებაში, დემოკრატიის გაღრმავებაში, ვერ უზრუნველყო ყოველმხრივ შეესწავლათ კადრები, მათი გარდაქმნის, ახლებურად მუშაობის უნარი.

მუშაობაში სიმძიმის ცენტრი ჯერ კიდევ არ გადაუტანიათ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, რომელთა უმრავლესობა ძველებურად მოქმედებს, არ ავლენს საჭირო ინიციატივასა და შემოქმედებას, შეუწყნარებლობას ნაკლოვანებებისადმი. უწინდელივით არსებული პრობლემების გადაწყვეტაში ძირითად დატვირთვას კისრულობს პარტიის საქალაქო კომიტეტი. მაგრამ განსახილველი საკითხები ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებზე, ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებაზე, რაც ამ პრობლემათა გადაწყვეტის საიმედო გარანტიაა.

დასასრულ დიდების მემორიალთან გაიმართა სამი მოძმე რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

▲▲

**ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, შორეული იაკუტიიდან თუ მეზობელი სომხეთიდან გამოგზავნილი**

### ახალი ექსპონატებით შეივსო

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის სერგო ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმი სოფელ ღორეშაში.

ოქტომბრის საიუბილეოდ ექსპოზიციაში გაჩნდა დოკუმენტები და ფოტომასალები, რომლებიც მოგვითხრობს სერგო ორჯონიკიძის სახელობის შრომითი კოლექტივების მიღწევებზე.

▲▲

**გუშინ სოხუმში დაიწყო და 30 ოქტომბრამდე გასტანს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია**

### „დიპლომატიური კითხვები“

მისი ორგანიზატორები არიან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი დიპლომატიური აკადემია, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო, აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კონფერენციის მთავარი თემაა „საბჭოთა დიპლომატია და ახალი პოლიტიკური აზროვნება“.

სოხუმში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სამინისტროების, ლენინგრადის, კიევის, ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენელები.

კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ჩერქეზიამ.

▲▲

**დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს მიეძღვნა ახალციხეში გამართული**

### გამსვლელი სხდომა

თემაზე: საბჭოთა ხალხების ლიტერატურული ურთიერთობა, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები. მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის, კიევის, ლენინგრადისა და თბილისის უნივერსიტეტების პროფესორები. ცნობილი მეცნიერები მსმენელთა წინაშე საინტერესო მოხსენებებით წარდგნენ.

# გუშინ, დღეს, ხვალ

**ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი**

**საბჭოთა ქვეყნის ინტერნაციონალურმა პოლიტიკამ კიდევ უფრო შეადუღა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხთა ძმობა და მეგობრობა. როგორია ამ რესპუბლიკათა კულტურის პროფკავშირების როლი მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით? აი, თემა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კულტურის მუშაკთა პროფკავშირების კომიტეტების გამსვლელი პრეზიდიუმისა, რომელიც გუშინ გაიმართა ქალაქ მარნეულის პარტიის საქალაქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში. ეს იყო**

### საქმიანი სიჯა-გასული

ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებზე, ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებაზე, რაც ამ პრობლემათა გადაწყვეტის საიმედო გარანტიაა.

დასასრულ დიდების მემორიალთან გაიმართა სამი მოძმე რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

▲▲

**ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, შორეული იაკუტიიდან თუ მეზობელი სომხეთიდან გამოგზავნილი**

### ახალი ექსპონატებით შეივსო

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის სერგო ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმი სოფელ ღორეშაში.

ოქტომბრის საიუბილეოდ ექსპოზიციაში გაჩნდა დოკუმენტები და ფოტომასალები, რომლებიც მოგვითხრობს სერგო ორჯონიკიძის სახელობის შრომითი კოლექტივების მიღწევებზე.

▲▲

**გუშინ სოხუმში დაიწყო და 30 ოქტომბრამდე გასტანს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია**

### „დიპლომატიური კითხვები“

მისი ორგანიზატორები არიან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი დიპლომატიური აკადემია, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო, აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კონფერენციის მთავარი თემაა „საბჭოთა დიპლომატია და ახალი პოლიტიკური აზროვნება“.

სოხუმში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სამინისტროების, ლენინგრადის, კიევის, ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენელები.

კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ჩერქეზიამ.

▲▲

**დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს მიეძღვნა ახალციხეში გამართული**

### გამსვლელი სხდომა

თემაზე: საბჭოთა ხალხების ლიტერატურული ურთიერთობა, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები. მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის, კიევის, ლენინგრადისა და თბილისის უნივერსიტეტების პროფესორები. ცნობილი მეცნიერები მსმენელთა წინაშე საინტერესო მოხსენებებით წარდგნენ.

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება აზერბაიჯანის დ. ბუნიატ-ზადეს სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის ინსტიტუტის საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ.**

**დადგენილებაში** აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანის დ. ბუნიატ-ზადეს სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი სათანადოდ ვერ ასრულებს თავის მთავარ ამოცანას — უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადებას.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის ლიკვიდაციის შესახებ. აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. ნ. სეიდოვის ყურადღება მიეპყრო იმას, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იჩენდნენ შემოწყნარებლობას აღნიშნული ინსტიტუტის მუშაობაში არსებული დიდი ნაკლოვანებებისადმი, არ აბორიგელებენ სპეციალისტთა საჭირო პროფესიული და იდეურ-თეორიული დონის უზრუნველყოფის, ინსტიტუტის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის, სტუდენტთა კონტინგენტის დაკომპლექტებისა და კურსდამთავრებულთა განაწილების დადგენილი წესის დაცვის ღონისძიებებს. საჭიროდ იქნა მიჩნეული, რომ აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საკითხი მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებებისათვის რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და სამინისტროთა ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ.

ეკონომისტთა კადრებზე აზერბაიჯანის სსრ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს დაევალათ შექმნან ქალაქ ბაქოში რუსეთის სფსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ლენინგრადის ნ. ა. ვოზნესენსკის სახელობის საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტის ფილიალი [illegible] სალომოს და [illegible] ბით.

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცა უზრუველყოს, რომ აზერბაიჯანის დ. ბუნიატ-ზადეს სახელობის სახალხო მეურნეობის სალიკვიდაციო ინსტიტუტის შენობანი, ნაგებობანი, მანქანები და მოწყობილობა დადგენილი წესით გადასცეს ლენინგრადის ნ. ა. ვოზნესენსკის სახელობის საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტის ფილიალს, რომელიც ისსნება ქ. ბაქოში, აგრეთვე 1987-1990 წლებში შეიქმნას ამ ფილიალის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადგენილი ნორმატივების შესაბამისად; რეკომენდდებულია დახმარება გაეწიოთ შრომითს მოწყობაში მუშაკებს, რომლებიც გამოთავისუფლდებიან აზერბაიჯანის დ. ბუნიატ-ზადეს სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ამასთან მხედველობაში იქონიონ გამოიყენონ ისინი სახალხო მეურნეობაში კვალიფიკაციისა და მუშაობის გამოცდილების შესაბამისად, აგრეთვე რაციონალურად გაანაწილონ სალიკვიდაციო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები; განახორციელოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ეკონომიკური კადრების ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებანი, გაანაღოს მუშაობა ეკონომისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების, ყველა სპეციალისტის ეკონომიკური ცოდნის განახლებისა და შევსებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალა გაზარდოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა პერსონალური პასუხისმგებლობა სპეციალისტთა მომზადების დონისათვის, სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შინაარსის, მასწავლებელთა კადრების თვისებრივი შემადგენლობის, მატერიალური ბაზის მდგომარეობისათვის, განახორციელოს უმაღლესი სასწავლებლების რეგულარული ატესტაცია.

## საოქტომბრო სამზადისი

**ნახელავს ვერავინ დაუწუნებს. ქსოვილს ისე ჩაგვირისტებს, თვალი ზედ დაგრჩება. ხუთი წელია ლალი ნანეტაშვილი თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანში“ მკერავად მუშაობს და თავისი კარგი გარჯით მთელი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.**

**საწარმოში საოქტომბრო ზეიმისათვის ემზადებიან. აქ ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს — 70 დამკვრელური კვირა! თითოეულ სამუშაო უბანზე თავდადებით იღვწიან დიდნაყოფიერი შრომისათვის, ტექნიკის განახლებისა და საწარმოო პროცესების სრული ათვისებისათვის.**

**სურათზე: მკერავი ლ. ნანეტაშვილი.**

**თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.**

## ზამთარი გვაჩქარებს

# ვალი გადასახდელია

**რესპუბლიკის** ნავთობპროდუქტებით სტაბილურ მომარაგებას არსებითად აფერხებს ჩამორჩენა, რომელიც წლეულს დაუშვა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ. აქ მიმდინარე რეკონსტრუქცია ვერ გაამართლებს პროდუქციის მიწოდების ქრონიკულ შეფერხებებს, ითქვა თათბირზე, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სათბობით, ელექტრული და სითბური ენერგიით მომარაგების საკითხზე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ბიტუმთან დაკავშირებით, იგი კერძოდ, მწვავედ აკლია რესპუბლიკის გაზსახკომს საჭირო საიზოლაციო სამუშაოების შესრულებისათვის.

რესპუბლიკაში შექმნილი თხევადი სათბობის მარაგის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ ყველა საწარმომ როდი შეავსო მთლიანად არსებული რეზერვუარები. მათ შორისაა თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა და საწარმოო გაერთიანება „თბილისრძე“.

თათბირზე განხილეს საკითხი, თუ როგორ იცავენ სათბობისა და ენერგიის მომხმარებლები საგადამხდელო დისციპლინას, მათი მწარმოებელი დარგების მიმართ სისტემატური დავალიანება იწვევს მძიმე ფინანსურ მდგომარეობას რესპუბლიკის მთელ სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში. მაგალითად, დიდი ხანია ვალს არ იხდის კრწანისის სასათბურე საბჭოთა მეურნეობა, რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველო.

ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აქტუალური ხდება სათბობის მომჭირნეობის პრობლემა. როგორც შემოწმებამ ცხადყო, ამ საკითხში წესრიგი ჯერ კიდევ არ არის დამყარებული. მაგალითად, ბათუმის მანქანათაშენებელ ქარხანაში გამოავლინეს ელექტრონერგიის ფლანგვის ფაქტები, არ ხორციელდება მაზუთის ხარჯვის აღრიცხვა, ერომანეთში ურეკენ სხვადასხვა მარკის ბენზინს. ანალოგიური მდგომარეობაა შექმნილი ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის ქარხანაში.

მსგავსი ნაკლოვანებები, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, უთუოდ იწვევს ზამთარში დეფიციტური სათბობისა და შუქის დანაკარგებს.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ.

(საქინფორმი).

## საღლეისო საზრუნავი

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას რესპუბლიკის მშრომელები მხარს უჭერენ, ერთხმად იწონებენ, მეცხოველეები ახალ ვალდებულებას კისრულობენ

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, მეცხოველეობის მუშაკებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტებს და ხელმძღვანელებს, პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა შრომითს კოლექტივს მოუწოდებს ორგანიზებულად გამოაზამთრონ პირუტყვი, ქვეყანას მისცენ მეტი მეცხოველეობის პროდუქტები.**

**მიმართვაში ნათქვამია, რომ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შემდეგ მეცხოველეთა მეცადინეობით და ენერგიული მუშაობით უზრუნველყოფილია ქვეყნისათვის საჭირო პროდუქციის წარმოების ყოველწლიური ზრდა, და ფრიად საჭიროა, რომ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელს არა მარტო შეინარჩუნონ მიღწეული, არამედ ვამრავლოთ კიდეც შედეგები, საბჭოთა ადამიანებს მივაწოდოთ რაც შეიძლება მეტი ხორცი, რძე, კვერცხი. ეს დიდი წვლილი იქნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ დასახული იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომ მოკლე ხანში მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ სასურსათო მომარაგება.**

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ფართოდ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის მეცხოველეები, საკვებმომპოვებლები, ხაზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, კომუნისტები. დღეს ვბეჭდავთ ერთ გამოხმაურებას.**

# დიდი ჯილდო მეტს გვავალებს

**მიმართვას** გულდასმით გავეცანი. განსაკუთრებით მისმა ბოლო აბზაცმა დამფიქრა: „სკკპ ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ მეცხოველეობის მუშაკები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოების სპეციალისტები და ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, რათა გაზარდონ ქვეყნის სურსათი 1987-88 წლის ზამთრის პერიოდში, გაადიდონ მისი მიწოდება ცენტრალიზებულ ფონდში და ადგილობრივი მომარაგებისათვის, XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციას შეხვდებიან იმით, რომ გადაჭარბებით შეასრულებენ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გეგმებს“.

ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიას, მთავრობას, ხალხს ჩვენი — მეცხოველეების იმედი აქვთ, რომ მომავალ გამოზამთრებაში წარმატებებს მივაღწევთ და ქვეყანას მივცემთ დიდძალ მეცხოველეობის პროდუქტებს. ჩვენი საპატიო ამოცანა, ვალი ის არის, რომ პარტიას იმედი გავუმართლოთ, კვლავაც ვიყოთ მოწინავეთა რიგებში.

მოწინავეთა რიგებშიო, იმიტომ ვამბობთ, რომ სიღნაღის რაიონის მეცხოველეებმა წინა გამოზამთრებაში მიღწეული წარმატებებისათვის ჯერ რესპუბლიკური, ხოლო ამას წინათ საკავშირო გარდამავალი დროშები და ფულადი ჯილდო დავიმსახურეთ. ეს დიდი ჯილდოა. მას შენარჩუნება უნდა. როცა დროშები ჩავიბარეთ, მაშინ ჩვენი შრომის ასეთი დაფასებისათვის პარტიას, საბჭოთა ხალხს დიდი მადლობა გადავუხადეთ, ამასთან გაბედულად ვთქვით და ახლაც, ცენტრალური კომიტეტის ამ მიმართვის გაცნობის შემდეგ, ვაცხადებთ, რომ [illegible] ჩვენ მაჩვენებლებისაკენ ვიბრძოლთ.

ინსტიტუტის ფ[illegible] [illegible]ლამოს და [illegible] ბით.

**ბრიგადა-ბრიგადა**

**ბრიგადა-ბრიგადა**

**ბრიგადა-ბრიგადა**

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის წინ

**ფინეთს** უახლოვდება მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომელიც ნოემბრის შუა რიცხვებში გაიმართება, განხილული იქნება რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმა, 1987 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა, საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, აგრეთვე 1986 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაავლა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივ კომისიებს წინასწარ განიხილონ სესიის განსახილველად გასატანი საკითხები და წარმოადგინონ დასაქენები მათ შესახებ.

20 ოქტომბერს გაიმართა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის გაფართოებული სხდომა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სხვა მუდმივი კომისიების წარმომადგენლებთან ერთად, რომელშიც მონაწილეობდნენ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენლები. სხდომას უძღვებოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლ. ი. ხაბუროზანია.

სხდომაზე მოხსენ

70 1917·1987

ოქტომბერი და საქართველო

# საბჭოთა აჭარა

**ბრძოლისა** და შრომის სახელოვანი გზა განვლო საბჭოთა ხალხის ძმურ ოჯახში სამგზის ორდენოსანმა მზიურმა აჭარამ. 1921 წლის 18 მარტიდან, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, იწყება მისი აღორძინება და ახალი სინესტავსი ცხოვრება.

**ბათუმის ნავსადგური.** ვ. ბაბაიანის ფოტო.

## მრეწველობის

### მძლავრი მაჯისცემა

**აჭარის** ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული განვითარებით პირადად იყო დაინტერესებული ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. 1921 წლის მარტში პარტიის X ყრილობის ტრიბუნიდან მან განაცხადა: „წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთი ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ“.

მალე ახდა ბელადის ეს სიტყვები. ბაქო-ბათუმის ნავთობსადენისა და პირველი ხუთწლედის პირმშოს — ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის საეკსპლოატაციოდ გადაცემა ამიერკავკასიაში ინდუსტრიალიზაციის ლენინური კურსის გამარჯვების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი იყო. ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა საკავშირო მნიშვნელობის საწარმოა. იგი 16 დასახელების პროდუქციას უშვებს, რომლის დიდი ნაწილი საექსპლოატაციოდ იგზავნება.

საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე აჭარაში ამუშავდა ათობიან მსხვილი სამრეწველო საწარმო, რომლებიც ყოველწლიურად 654 მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებენ. მათგან აღსანიშნავია მანქანათსაშენებელი ქარხანა. ეს საწარმო ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ჩაის ფაბრიკების სრულ ტექნიკურ აღჭურვილობას ამზადებს. გარდა ამისა, ქარხანა კვების მრეწველობის ათობით დასახელების მანქანასაც უშვებს.

თვითნთი პროდუქციით სახელი გაითქვეს ბათუმელმა ელექტრომექანიკოსებმა. ამიტომაც არის, რომ მათს პროდუქციას მრავალი ქვეყანა ყიდულობს. საერთო წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ტრანსფორმატორებისა და საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელ ქარხნებს, ბათუმის საფერშენტაციო თამბაქოს და ხის დამამუშავებელ კომბინატებს, ბამბუკის ავეჯის ფაბრიკას, ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანას, სამკერვალო გაერთიანებას, თხუმეტ ჩაის ფაბრიკასა და სხვა საწარმოებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მთის რაიონებშიც აშენდა სამრეწველო საწარმოები და გაჩნდა მუშათა კლასი. ასე, მაგალითად, ქედაში ამუშავდა მანქანათსაშენებელი ქარხნის ფილიალი, ხულოში — სამკერვალო ფაბრიკა, გაიხსნა სამრეწველო კომბინატები. ასეთ ღონისძიებას უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

გარდა ზემოთქმულისა, ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობაში კიდევ მრავალი სიახლე დაინერგა. გადამწყვეტი სიტყვა თქვა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესმა. ამუშავდა ნაკადური ხაზები. წელს სახმიღებაზე გადავიდა ბათუმის სამი საწარმო. მომავალი წლიდან კი საწარმოთა აბსოლუტური უმრავლესობა მეურნეობრიობის ახალი მეთოდით იმუშავებს.

## სანაოსნოს ცისფერი

### გზები

**საქართველოს** საზღვაო სანაოსნო, რომლის საბაზო ნავსადგურია ბათუმი, ჩვენი ქვეყნის სანაოსნოთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა. იგი 20 წლის წინათ დაარსდა. ამჟამად საქართველოს ალმით მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს სერავს 54 ხომალდი, მათ შორის „ნატო ვანნაძე“, „აკადემიკოსი დავითაია“, „მხატვარი გაბაშვილი“, „გიორგი ლეონიძე“, „ნოდარ ღუმბაძე“, „იუსუფ კობალაძე“, ანატოლი კაჭარავა“, „ქუთაისი“, „ბათუმი“ და მრავალი სხვა.

საქართველოს საზღვაო ფლოტს დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის სახალხო მეურნეობაში. ამ მოკლე დროში მან მრავალჯერ დაიმახსოვრა საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშები. ყოველ კვარტალში საქართველოს რამდენიმე ხომალდი იმარჯვებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

## სოფლის ბარაქა

**სოფლის** მეურნეობის მთავარი დარგება მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეთამბაქოეობა და მეცხოველეობა. ამ მხრივ აქაური სოფლის მშრომელებს მართლაც რომ, ბევრი რამ აქვთ საამაყო.

აჭარა ყოველწლიურად ამზადებს 130-180 ათას ტონა ციტრუსს, რაც მთლიანად საქართველოში წარმოებული ციტრუსების ნახევარზე მეტია. აქ ციტრუსებს ამჟამად 7500 ჰექტარამდე ფართობი უჭირავს. აჭარის სუბტროპიკული ზონის მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდების შესახებ. შედეგიც კარგია. ვითარდება როგორც საზოგადოებრივი, ისე საკარმიდამო მეციტრუსეობა.

ნაყოფიერად იღვწიან აჭარის მეჩაიეებიც, რომლებიც ყოველწლიურად 70 ათას ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს აწარმოებენ. მეჩაიეებს დიდად შეუმსუბუქა შრომა დიდმა და მცირე მექანიზაციამ. აი, მაგალითად, სპატიო ნინშის ორდენოსან ოჩხამურის აგროსამრეწველო კომბინატში 5 მობილური და 350 ხელის საკრეფი მანქანა აქვთ, რომლებთაც მთელი მოსავლის თითქმის 90 პროცენტი იკრიფება. საგრძნობლად გაიზარდა მოსავლიანობაც, მეურნეობაში ყველა სამეურნეო ბრიგადა იჯარის წესით მუშაობს. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა ციტრუსოების, ხუცუბნის, ლეღვის, ბობოყვაითის, მახოს, ერგეს ჩაისუბნისა და სხვა კოლეფურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აღსანიშნავია, რომ ჩაიმ მთაშიც მოიკიდა ფეხი. წელს ჩაის კრეფის ისტორიაში პირველად ქედელმა მეჩაიეებმა რესპუბლიკაში ყველას გაუსწრეს და 11 აგვისტოს შეასრულეს წლიური გეგმა.

აჭარის სუბტროპიკული ზონა განსაკუთრებით უხვმოსავლიანია. ამტომაც სოფლის მოსახლეობას მტკაველი მიწა არ დაუტოვებია გამოუყენებელი. მიწის სიმცირემ აფიქრებინა მახოს, ერგეს, თხლნარის, ჭარნალის, ანგისის კოლმეურნეობების მშრომელებს, რომ დაუდგენი ჭოროხი, ფილაკა სათარეშოდ ჰქონდა მთელი კახაბრის ველი, რკინის სალტეებით შეეთოკათ და ამ გზით გამოეტაცათ მისთვის ასობით ჰექტარი სათიბ-სახნავი მიწა. ერთობლივ ღონისძიებებს შესანიშნავი შედეგი მოჰყვა. ახალათვისებული ქალები დაიფარა ბოსტნეებითა და სმინდოს ყანებით. მდინარის მიტოვებული კალაპოტი ხალხის სამსახურში ჩადგა.

### ეთის გაზაფხული

**განსაკუთრებით** ხელშესახები ცვლილებები მოხდა აჭარის მაღალი მთის რაიონებში — ხულოში, ქედასა და შუახევში. ფართოდ გაიშალა მუშაობა მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებისა და მშრომელთა სოციალურ-კულტურული ცხოვრების ღონის ამაღლებისათვის. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ, მეცხოველეობის კომპლექსებისა და გასასუქებელი მოედნების შექმნამ, მრავალმა სხვა ღონისძიებამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. რენტაბელური გახდა სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი, განსაკუთრებით მეთამბაქოეობა.

დიახ, განვლილ ათწლეულებში მთიანეთმა ზღაპრულად იცვალა სახე. უშორეს სოფლებშიც შევიდა საავტომობილო გზა, აკაშკაშდა ილიჩის ნათურები, აშენდა სკოლები და სავეჭრო ობიექტები, მთიელ კაცს გაუადვილდა შრომა და ცხოვრება. ასეთი გარდატეხის მიუხედავად, მთის რეგიონში გასაკეთებელი და გადასაწყვეტი პრობლემა უმრავი იყო და კვლავაც არის. მათი გადაჭრის ყველაზე ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1979 წლის თებერვალში მიიღეს ერთობლივი დადგენილება აჭარის მაღალმთიანი რაიონების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ.

დადგენილების მიღების შემდეგ, შეიძლება ითქვას, მთის რაიონებში ისტორიული გარდატეხა მოხდა. აშენდა ათობით სკოლა, მოირწყა ასობით ჰექტარი სავარგული, სოფლებს შეემატა კლუბები, ბიბლიოთეკები, სავაჭრო და მომსახურების ობიექტები. მარტო წელს აჭარაში 11 სკოლა აშენდა, აქედან მთის რაიონებში — ხუთი. ამუშავდა ბაკურიანოსული ცენტრის საბაგირო გზა, რომელიც უნიკალურად ითვლება.

მთის რაიონების სოფლის მეურნეობის წამყვანი კულტურაა თამბაქო. იგი მოსახლეობას საკარმიდამო ნაკვეთებშიც მოჰყავს. ამჟამად აჭარა 4500 ტონაზე მეტ ხმელ თამბაქოს აწარმოებს. შეიძლება ითქვას, რომ მეთამბაქოეობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მთის ეკონომიკაში.

აჭარის მთიანეთი ტრადიციული მეცხოველეობის რეგიონიც არის. აქაურმა მოსახლეობამ მცირემიწიანობის პირობებშიც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის კარგი გამოცდილება შეიძინა. ხორციელდება სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცების, ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, მოსახლეობასთან კოოპერირების, საკარმიდამო მეურნეობის განვითარების ღონისძიებები. ამის შედეგია, რომ ავტონომიური რესპუბლიკა ბოლო დროს გადაჭარბებით ასრულებს მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებებს.

### ძმაო, ძმითა ხარ

### ძლიერი!

**ყოველ** სოფელს, ისევე როგორც თითოეულ ქალაქს, სხვებისაგან განსხვავებული ისტორია აქვს. იგი დაწერილია ადამიანთა შრომითა და ბრძოლით, მათი გამრჯე, მოუღლელი მარჯვენით. აჭარაში არის სოფლები დაგვა, წითელი ოქტომბერი, რომლებიც, ძირითადად, ბერძნებით არის დასახლებული. ბერძნები სახლობენ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენშიც. ისინი საუკუნეზე მეტია ცხოვრობენ აქ. ჩაქვის, ოჩხამურის, ცაცხლაურისა და სხვა საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაზე ქართველებთან ერთად რუსები, უკრაინელები, სომხები, ბელორუსები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც შრომობდნენ. ანალოგიური მდგომარეობაა ქალაქების სამრეწველო საწარმოებშიც. ამჟამად აჭარაში ოთხმოცზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები ქართველებთან ხელიხელჩაკიდებულნი შრომობენ და ბედნიერ ცხოვრებას ჰქედენ. უფრო მეტიც — ასობით ოჯახი გახდა ინტერნაციონალური. ასე დაუკავშირეს ადამიანებმა ერთმანეთს თავიანთი ბედი.

### კულტურული რევოლუციის შედეგი

**მართლაც** რომ, რევოლუციური გარდაქმნები მოხდა ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში: თუ 1921 წელს აჭარის მოსახლეობის მხოლოდ 7 პროცენტმა (ისიც ძირითადად მდიდრების შვილებმა) იცოდა წერა-კითხვა და სკოლებიც თითზე ჩამოსათვლელი იყო, ამჟამად აჭარაში 440-მდე სკოლაა, რომლებშიც 75 ათასამდე ბავშვი სწავლობს. კვალიფიციური კადრების აღზრდას ემსახურება პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, კვლევითი ინსტიტუტები, სამედიცინო, სავაჭრო და პროფტექნიკური სასწავლებები. ავტონომიურ რესპუბლიკაში დაფარულია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელით.

ოციანი წლების დამდეგს ბათუმში თითო-ოროლა მწერალი და მოღვაწეობდა. არ არსებობდა შემოქმედებითი კავშირები. ამჟამად კი ათობით მწერალმა, მხატვარმა, ჟურნალისტმა, მხატვრული სიტყვისა და ფუნჯის ოსტატმა საკვეყნოდ გაითქვა სახელი. გვყავს სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, მათი ნაწარმოებები გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს, საკვეყნოდ გახდა ცნობილი...

რევოლუციამდელ აჭარას არ ჰყავდა არც ერთი მხატვარი. ამჟამად კი მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილებაში ორმოცზე მეტი მხატვარია გაერთიანებული. მრავალი რესპუბლიკური და საკავშირო გამოფენა დაუმშვენებია საქართველოს დამსახურებული მხატვრების შ. ხოლუაშვილის, შ. ზამთარაძის, მ. ბოლქვაძის, ხ. ინაიშვილის, ნ. იაკოვენკოსა და სხვათა ნამუშევრებს.

წლეულს მარტში მოეწყო მხატვარი ქალების ნამუშევართა გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდა სახვითი ხელოვნების ყველა დარგში მოღწეული 18 ქალი. აპრილში თბილისელთა წინაშე 71 ახალი ნამუშევრით წარდგნენ ახალგაზრდა მხატვრები ბ. კალანდაძე, გ. გორგილაძე და კ. ჯანუაშვილი, სექტემბერში აჭარის მხატვართა საგამოფენო დარბაზში მოეწყო აჭარის ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. ოქტომბრის 70 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში რესპუბლიკურ გამოფენაში მონაწილეობა მიიღო ექვსმა მხატვარმა. მათი რამდენიმე ნამუშევარი შეარჩიეს საკავშირო გამოფენაზე გასაგზავნად. საქართველოს დღეებთან დაკავშირებით მოსკოვის მხატვართა სახლში გამოფენილი იყო 9 მხატვრის — ხ. ინაიშვილის, ს. არომელაძის, შ. ზამთარაძის, თ. ჯალაღანიას, ნ. ნიკარაძის, გ. ფუტკარაძის, ნ. იაკოვენკოს, შ. ხოლუაშვილის, გ. ტუღუშის ნამუშევრები.

აჭარის მშრომელთა სულიერი და ესთეტიკური აღზრდის საქმეში დიდ როლს ასრულებს თეატრი. ბათუმის თეატრალური ხელოვნების ისტორიაში ჩაწერილია ვერიკო ანჯაფარიძის, აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, პიერ კობახიძის, ვასო გოძიაშვილის, სესლია თაყაიშვილის და სხვა სასიქადულო მსახიობთა სახელები. საეტაპო სპექტაკლები „ოტელო“, „ოდიპოსი“, „მოკვეთილი“, „ბრმა მუსიკოსი“ წარუშლელად აღიბეჭდა მნახველთა მეხსიერებაში. საქართველოს სახალხო არტისტებმა ი. კობალაძემ, მ. ხინიკაძემ, ნ. თეთრაძემ ამ ქვეყნად გაუთქვეს სახელი ბათუმის თეატრს.

ტრადიცია გრძელდება. თეატრის ყოველი ახალი დადგმა შემოქმედებითი ზეიმია ბათუმელთათვის. დიდი ილიას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მოამზადა ა. სამსონიას ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი „ჩემო ქარგო ქვეყანა“ და ა. კოტეტიშვილის პიესა „ბაალ, გადაგვარჩინე“. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს თეატრი უძღვნის ვ. დოზორცევის პიესის „ბოლო მთხოვნელის“ დადგმას.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნისაა აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის დამსახურებული ანსამბლი, რომლის მიერ შესრულებულ ქართულ მელოდიებსა და ცეცხლოვან ცეკვებს მოუხიბლავს მრავალი საზღვარგარეთული ქვეყნის მაყურებლები. წელს ანსამბლმა ლენინგრადსა და სოჭში გამართა მრავალი კონცერტი, ოქტომბერში კი საგასტროლოდ იმყოფებოდა ბულგარეთში.

აჭარის მშრომელებმა კარგად იცან, რომ წარსულში სოციალური ჩაგვრით მიყენებული ყველა ჭრილობის ესოდენ მოკლე დროში მოშუშება, ეკონომიკისა და კულტურის განვითარება ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებული განხორციელებისა და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის უანგარო დახმარების შედეგია. ამიტომაც არის, რომ აჭარის პარტიული ორგანიზაცია და მშრომელები თავიანთ წარმატებებს უმადლიან ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის ლენინურ ტრადიციებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ავტონომიური რესპუბლიკის დროშაზე ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების გვერდით ხალხთა მეგობრობის ორდენიც აკიაფდა.

### ხვალინდელ დღეზე

### ფიქრით

**გონებაც** თვალს რომ ავლებენ განვლილ სახელოვან გზას, აჭარის პარტიული ორგანიზაცია, მშრომელები ერთი წუთითაც არ ივიწყებენ ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო წესია მთავარი ყურადღება მივაპყროთ გადაუჭრელ ამოცანებს.

ამიტომაც ავტონომიურ რესპუბლიკაში ყოველ ღონეს ხმარობენ პარტიის XXVII ყრილობის, მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა ნორცშესხმისათვის. გადაჭარბებით სრულდება მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო გეგმები, მიმდინარეობს საწარმოთა ტექნიკური განახლების პროცესი. იზრდება მასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა, მტკიცდება დისციპლინა და წესრიგი, გარდაქმნის პროცესმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე მოიცვა. ეს კი იმის გარანტიას იძლევა, რომ აჭარის მშრომელები ახალი გამარჯვებებით შეხვდებიან დიადი ოქტომბრის იუბილეს.

**მასალები მოამზადა „კომუნისტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა**

**მ. გორგილაძემ.**

# „მშვიდობის ტალღის“ წარმომადგენლები კრემლში

**24 ოქტომბერს** კრემლში ა. ა. გრომიკომ მიიღო საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელმძღვანელები, ყველა ისინი „მშვიდობის ტალღის“ მონაწილენი არიან, რომელიც ჰიროსიმაში დაიწყო და მთელ დედამიწაზე გავრცელდა. ამ საეროთაშორისო აქციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ იგი მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღეს და ემთხვევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვირეულის დაწყებას, რომელიც ემსახურება მშვიდობის გზაზე საყოველთაო ძალისხმევის განვითარებას.

ამ ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, მწერალი გ. ა. ბოროვიკი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის თავმჯდომარის მოადგილეები — კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ს. ე. სავიცკაია, ვ. პ. მასლენი, გაერთიანება „მოსკოვსპეცკინბეტონის“ დამრიგებელი ოსტატი, ოპერატორი, სოციალისტური შრომის გმირი დ. გ. ფოტინა, აკადემიკოსები ვ. ი. ვოლდანსკი, ო. ა. რეუტოვი, მწერლები გ. გ. აბაშიძე, ა. ბ. ალექსინი, ს. პ. ზალიგინი, ვ. ა. ყოროტიჩი, პოეტები ა. დ. დერეტინტეი, მ. კ. კანოატოვი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ი. ს. გლაზუნოვი, კომპოზიტორი რ. ვ. პაულსი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. მ. სმოქტუნოვსკი, მინსკისა და ბელორუსიის მიტროპოლიტი ფილარეტი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მდივანი გ. ნ. ლოქშინი.

ა. ა. გრომიკოს გადასცეს მრავალთაგან ძირითადი ბარათები, დეპეშები, წერილები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის სალელწმ მოვიდა. ყველა მიმართვაში იფონენენ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას და იუწყებიან, თუ როგორ მონაწილეობენ ჩვენი თვალწინდენი ; ქვეყნის სხვადასხვა კუთხის საბჭოთა ადამიანები კონკრეტულად სამუშაოთუ საცხოვრებელ ადგილს, საზოგადოებრივ ღონისძიებებში, რაენბაყოფლობითი პირადი წვლილი შეაქვთ „მშვიდობის ტალღაში“.

თავის გამოსვლაში ა. ა. გრომიკომ საბჭოთა კავშირის სახელით მოიწონა და მხარი დაუჭირა „მშვიდობის ტალღას“, რომელსაც იმპულსი მიანიჭა 24 ოქტომბერმა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღემ.

ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის დასაწყისში — 1946 წელს საბჭოთა კავშირი იყო გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის ბრძოლის ინიციატორი. ყველა თვალსაზრისი, რომელთა მიხედვით ასეთი ბრძოლის ინიციატორებად ასახელებენ დასავლეთის სახელმწიფოებს, ყალბია.

ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა კავშირმა განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომ ბირთვული იარაღი სამუდამოდ უნდა აიკრძალოს. ამჟამად იგი ამ საკითხს ისევ უფრო მწვავედ და არნახული ძალით აყენებს. ბირთვული იარაღი არა მარტო უნდა აიკრძალოს, არამედ XX საუკუნის დამლევამდე მთლიანად მოისპოს კიდეც.

განიარაღებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში საბჭოთა კავშირს ჭეშმარიტად დიდი ბაგაჟი აქვს. ჩვენი ქვეყანა და მისი პოლიტიკა საერთაშორისო გაერთიანების თანავარსკვლავედში კარგად ანათებს. მისი ჩირაღდანი შორიდან, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოჩანს. ამიტომ სახელოვან წარსულთან დაკავშირებული ფაქტები ხშირად უნდა იყოს მოხსენიებული თანამედროვე პრესაშიც.

შეეხო რა დღევანდელობას, ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ ახლანდელი ვითარება რთული და მრავალმხრივია. ყოველმა ადამიანმა, თუ იგი ობიექტურად აზროვნებს, უნდა აღიაროს, რომ მსოფლიოში ორმოც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში დაგროვილი ბირთვული იარაღის მთები გაჩნდა. ამ მთების ნაწილი რომ ამოძრავდეს, როგორც საფუძვლიანად ამტკიცებს თანამედროვე მეცნიერება, დედამიწის ცივილიზაცია არსებობას შეწყვეტს. ამავე დროს განიარაღებისათვის ბრძოლა, რომელშიც საბჭოთა კავშირი და სოციალისტური სახელმწიფოები წამყვან როლს ასრულებენ, ძლიერდება. ალბათ, უახლოეს მომავალში მოხერხდება შეთანხმების დადება საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. ამას მოწმობს ახლახან გამოქვეყნებული ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის შეხვედრის შესახებ. შემდეგ, როგორც ნათქვამია აღნიშნულ ცნობაში, უნდა დადაწყდეს მთავარი არსენალის — სტრატეგიული ბირთვული იარაღის საკითხი. მისი ლიკვიდაციისათვის დიდი დაძაბული მუშაობა მოგველის.

სწორია, რომ მშვიდობის მომხრეებს მხედველობიდან არ რჩებათ დროის მაჯისცემა. მშვიდობისათვის ბრძოლა არ უნდა შევანელოთ. იგი უნდა განვაგრძოთ, გავუზიაროთ გამოცდილება ჩვენს სახლვარგარეთელ მეგობრებს, ისინი კი მილიონები არიან. თქვენი საქმიანობა დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირს, ყველა სახელმწიფოს, რომლებიც მშვიდობის პოლიტიკას ადგანან.

მინდა გამოვთქვა ასეთი აზრიც. მშვიდობისა და განიარაღებისათვის ეს ბრძოლა ეხმიანება სკკპ XXVII ყრილობის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, კერძოდ. ამ დღეებში გამართული იმ პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც განიხილა ეკონომიკის, ეროვნული სხვადასხვა კუთხის საბჭოთა ადამიანები კონკრეტულად სამუშაოთუ საცხოვრებელ ადგილს, საზოგადოებრივ ღონისძიებებში, რაენბაყოფლობითი პირადი წვლილი შეაქვთ „მშვიდობის ტალღაში“.

თავის გამოსვლაში ა. ა. გრომიკომ საბჭოთა კავშირის სახელით მოიწონა და მხარი დაუჭირა „მშვიდობის ტალღას“, რომელსაც იმპულსი მიანიჭა 24 ოქტომბერმა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღემ.

ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის დასაწყისში — 1946 წელს საბჭოთა კავშირი იყო გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის ბრძოლის ინიციატორი. ყველა თვალსაზრისი, რომელთა მიხედვით ასეთი ბრძოლის ინიციატორებად ასახელებენ დასავლეთის სახელმწიფოებს, ყალბია.

ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა კავშირმა განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომ ბირთვული იარაღი სამუდამოდ უნდა აიკრძალოს. ამჟამად იგი ამ საკითხს ისევ უფრო მწვავედ და არნახული ძალით აყენებს. ბირთვული იარაღი არა მარტო უნდა აიკრძალოს, არამედ XX საუკუნის დამლევამდე მთლიანად მოისპოს კიდეც.

განიარაღებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში საბჭოთა კავშირს ჭეშმარიტად დიდი ბაგაჟი აქვს. ჩვენი ქვეყანა და მისი პოლიტიკა საერთაშორისო გაერთიანების თანავარსკვლავედში კარგად ანათებს. მისი ჩირაღდანი შორიდან, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოჩანს. ამიტომ სახელოვან წარსულთან დაკავშირებული ფაქტები ხშირად

„საქართველოს კომუნისტი“ № 10

**დიდი** ოქტომბრის 70 წლისთავს ეძღვნება სამი რესპუბლიკის — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების თეორიული და პოლიტიკური ჟურნალები: „საქართველოს კომუნისტის“, „აზერბაიჯანის კომუნისტისა“ და „ლენინის გზით“ ერთობლივი მეათე ნომერი: „ერთიან ოჯახში — საერთო მიზნებისაკენ“. აღსანიშნავია, რომ ყველ განყოფილებაში დაბეჭდილია სამივე რესპუბლიკის წარმომადგენლების თითო-თითო წერილი.

ჟურნალში დაბეჭდილია მ. ს. გორბაჩოვის სტატია — რეალობა და უსაფრთხო მსოფლიოს გარანტიები.

ნომერში გამოქვეყნებულია სარედაქციო წერილი — დიდი ოქტომბრის დროშით.

აწლაგით „ოქტომბერი ჩემს ბიოგრაფიაში“ დაბეჭდილია წერილები: ჰ. აიბას — ცხოვრების შუაგულში; ა. ნამაზოვას — ჩემს მოვალეობად ვთვლი და ვამაყობ; ს. პეტროსიანის — ნდობის პასუხად.

განყოფილებაში „სკკპ XXVII ყრილობა: თეორია და პრაქტიკა“ თქვენ გაეცნობით: ო. ჯიოევის — კულტურის დიალოგურობა და ერთიმორისი ურთიერთობა; ვ. მირზოიანის — ცხოვრების საზრისის არსისათვის; ზ. სამედზადეს — ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეგიონალური ასპექტი.

რუბრიკით „ემართოთ საქმის ცოდნით“ დაბეჭდილია წერილები: ქ. დადიანის — საქართველოს ეკონომიკური კავშირურთიერთობანი; რ. აგაევის — ქარხნის მარკის სახელისათვის; მ. გუკასიანის — შეჯიბრება გვაჯლოებს.

აწლაგით „აგრომრეწვი: გაკოცდილება და პრობლემები“ გამოქვეყნებულია სტატიები: გ. მგელაძის — ინიციატივა გამოცდილებად იქცა; გ. გრიგორიანის — სრული უკუგებით; ქ. მამედოვის — მტკიცდება თანამშრომლობა.

რუბრიკით „მეცნიერება, კულტურა, განათლება“ გამოქვეყნებულია: ვ. ასათიანის — სულიერი ურთიერთგამდიდრების პროცესი; ელჩინის — „რევოლუციას შევყავთ მხარულთ...“; ნ. ესაიანის — ხალხთა შემოქმედების ნაყოფი.

განყოფილებაში „ხუმყო შოგბილი წარსულისგან“ თქვენ გაეცნობით წერილებს: გრ. აბაშიძის — ჩვენი დიდი წინაპარი (ეძღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს); გ. ბახჩინიანის — სამი ხალხის მომღერალი (ეძღვნება საიათნოვას დაბადების 275 წლისთავს); ა. დადაშ-ზადეს — ნათელი იდეალების პოეტი (ეძღვნება მ. პ. ვაგიფის დაბადების 270 წლისთავს).

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „რევოლუციის ნაბიჯების ქრონიკა“, „ამიერკავკასია მარშზე“; „მარნეული-ყაზახი-იჯევანი“.

ᲧᲕᲘᲚᲘᲡᲬᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲔᲥᲠᲝ

# ნდობის ატმოსფერო რომ განმტკიცდეს

**მოსკოვში** გამართული საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების შედეგები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის მიღება მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. თვალსაჩინო საზღვარგარეთელი მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკებაზე დისკუსიების სულისკვეთება იყო კონსტრუქციული, შეიქმნა გადაწყვეტილებათა ძიების ნიადაგი, საქმიანი თანამშრომლობის ატმოსფერო. ხაზგასმით აღინიშნება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს, რომლებიც მ. ს. გორბაჩოვმა წამოაყენა ჯ. შულცთან საუბრის დროს.

**ვაშინგტონი.** უცხოელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა წელს მოეწყობა. „რამდენადაც მესმის, მოსკოვში გარკვეული პროგრესია მიღწეული მუალედური სიშორის იარაღის შესახებ შეთანხმების განხილვისას, — თქვა პრეზიდენტმა. — უნდა ვივარაუდოთ, როგორც ისინი ისევე ჩვენც, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა გაუჭრიმესდეს ურთიერთობა საერო მიმართულებით. და ამავე დროს ისე მოვიქცეთ, რომ ომები ნაკლები იყოს“.

„ვაშინგტონ-პოსტი“ აღნიშნავს, რომ საუბარში ცენტრალური ადგილი ეკავა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღ

# შენი საქართველო მუდამ შენთან არის

(დასასრული)

რთება წიწამურისაკენ, სადაც წყაროს მახლობლად აღმართულია გრანიტის ობელისკი ილია ჭავჭავაძის ბარელიეფფიფურთ. ამ ადგილას ზუსტად ოთხმოცი წლის წინათ ტრაგიკულად შეწყდა გულისმგერა კაცისა, რომლის ცხოვრებისა და შემოქმედების არსს შეადგენდა ბრძოლა ეროვნული და სოციალური პროგრესისათვის, ჩაგრულთა განთავისუფლებისათვის. შეკრებილებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი იმის ხსოვნას, ვისი საქმეც და შემოქმედებაც მუდამ იქნება ხალხის უანგარო სამსახურის მაგალითი. ობელისკი დაფნის გვირგვინით შეამკეს.

... პატარა სოფელი საგურამო. მასთან არის დაკავშირებული ილიას სახელი. იგი აქ ცხოვრობდა, მუშაობდა, აქ მასპინძლობდა რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოჩენილ მოღვაწეებს, რომლებიც საქართველოში ჩამოდიოდნენ. აქ, ამ სახლში ხალხის დიდი შვილი წერდა თავის უკვდავ ნაწარმოებებს, ფიქრობდა თავის შობელ ხალხზე. ილიას უყვარდა საგურამო. იგი მისთვის თითქოს გახდა თილისმა, სამუდამოდ დაკავშირა იმ ბედნიერ ხანასთან, როცა აქ, ამ კერასთან განიცადა ოჯახური ცხოვრების ბედნიერება, შემოქმედებითი სიხარული.

ამიტომაც გასაგები იქნება, თუ რატომ გადავაბიჯეთ ასეთი მღელვარებით სახლ-მუზეუმის კარიბჭეს, რატომ ვათვალიერებდით თითოეულ ექსპონატს, გონების თვალით წარმოვიდგენდით მის კეთილ მასპინძელს, რომელიც გულთბილი და გულითადი იყო ყველა მეგობრისათვის. და თუმცა იგი დიდი ხანია აღარ არის ჩვენთან, მისი ადამიანური ხიბლი მუდამ თან გვდევს, რადგან ილიას სხვებზე უკეთ შეეძლო განეკვრიტა მომავალი. მის ვაჟკაცობასა და სიბრძნეს დღენიადაგ ვეწაფებით.

მისი სისხლი საქართველოს მიწამ შეისრუტა, სუნთქვა მამულის ჰაერს შეერწყა, მისი დიდება და სიკვდილი არასოდეს არ ეკუთვნოდა დიდ ილიას პირადად. მას თავის უკვდავებაზე არ უფიქრია, მაგრამ თავისი ერის უკვდავება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ღრმად სწამდა.

ჭავჭავაძე გვჭირდება როგორც პური, უფრო მეტიც — როგორც აზრი, როგორც ჰაერი. ილია უკვდავია სწორედ იმით, რომ ნიადაგ სჭირდება ცვალებად და განახლებად სამყაროს.

ზეიმის მონაწილეებმა დაათვალიერეს მუზეუმი, ყველანაირი შეამკეს სახლის ეზოში დადგმული ილიას ბიუსტის კვარცხლბეკი. მისი ავტორია საქართველოს სახალხო მხატვარი, მოქანდაკე ბ. ავალიშვილი.

ეზოში გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ლოლაძემ.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ჯ. ჩარკვიანმა, კრიტიკოსმა გ. გვერდწითელმა, პოეტმა მ. ლებანიძემ, საგურამოს სამუალო სკოლის მოსწავლემ ნათია ბედუკაძემ დიდი მადლობა მოახსენეს თავიანთ სახელოვან წინაპარს, რომლის ცხოველმყოფელი შემოქმედება გვიშუქებს და მარად გაგვიშუქებს მომავლის გზას.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ გამოჩენილი ქართველოლოგების — შოტლანდიელი რობერტ პარსონსის, კანადელი ჯეფრი ჰარნსის, პოლონელი იან ბრაუნის გამოსვლებს, რომლებმაც სიტყვები ქართულ ენაზე წარმოთქვეს:

ჩვენთვის, განაცხადეს საზღვარგარეთელმა ლიტერატორებმა, ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორია, მისი წარსული, აწმყო და მომავალია.

მიტინგზე გამოვიდა ბელგიელი მწერალი, ქართველოლოგი, ავტორი წიგნისა „ოქროს საწმისის ქვეყანაში“ ჟორჟ ბუიონი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ქართველ ერს იმისთვის, რომ მსოფლიოს დიდი ილია მისცა.

სახალხო დღესასწაულმა საგურამოში ღირსეულად დაგვირგვინა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.

ეს დამაგვირგვინებელი აკორდი თავისი გამოსვლებით დაამშვენეს საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა და ხელოვნების ოსტატებმა.

**ყვავილსა** და საგურამოში გამართულ ზეიმში მონაწილეობდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. დ. მგელაძე, ბ. ვ. ნიკოლაკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ვ. მ. სირაძე.

(საქინფორმი).

* * *

ილიაობა ყვავილში.

ჯ. ლომაძის ფოტო.

# ბაკურიანი

## გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

**მართალია, ოფიციალურად დამთავრდა ილია ჭავჭავაძის იუბილე, მაგრამ ასეთ დღესასწაულებს დასასრული არა აქვს ერის ცხოვრებაში. ვრცელი, შესანიშნავად მოფიქრებული ღონისძიებების პროგრამა შეუდგენია თბილისის 179-ე საშუალო სკოლას. დიდი მამულიშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს ღონისძიებები**

### გუშინ დაიწყო

და 30 ოქტომბრამდე გასტანს. გუშინ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა ამ პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო კონფერენცია „ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა და მსოფლიო ლიტერატურა“. **დღეს** რუსთაველის სახელობის თეატრში დაგეგმილია თეატრალიზებული ღია გაკვეთილი „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“ **ხვალ** კი სკოლის პედაგოგები და მოსწავლე ახალგაზრდობა მთაწმინდის პანთეონში გვირგვინებთი შეამკობენ ილიას საფლავს. 29 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ორკონიკიძის ქუჩაზე მოსწავლეები წარმოადგენენ მწერლის ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილ სპექტაკლებს.

ღონისძიებებს დაადგირგვინებს 30 ოქტომბერს 179-ე საშუალო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული საიუბილეო საღამო და კონცერტი.

▼ ▼

**ქართული ხალხური სიმღერების ერთ-ერთი შესანიშნავი შემსრულებელია მახარაძის კულტურის სახლთან არსებული ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა“, რომელსაც ამ დღეებში**

### ოცდაათი წელი შეუსრულდა

ამ ხნის მანძილზე ანსამბლმა ცნობილი ლოტბარის მიხეილ შავიშვილის ხელმძღვანელობით კონცერტებით მოიარა ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქი. მის ხელოვნებას ტაშს უკრავდნენ საზღვარგარეთ — იტალიაში, ინგლისში, შოტლანდიაში.

მახარაძეში გამართულმა საიუბილეო საღამომ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, თუ როგორ უყვართ „შვიდკაცა“ იქაურებს, საერთოდ ქართველ საზოგადოებრიობას, რომლის წარმომადგენლები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან სიყვარულით მიესალმნენ ანსამბლს.

**„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი ბაკურიანი და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა ვ. მარდალეიშვილმა.**

# თბილისობა-87: წარსულისა და მომავლის თანაზიარობა

(დასასრული)

ბების თავისებური რეკლამაა, რომელიც შექმნა არქიტექტორთა და რესტავრატორთა შემოქმედებითმა თანამეგობრობამ. მათ კვლავ უამრავი საქმე ელით. ამის თავდები თბილისობაზე შექმნილი ტრადიციაც — დღესასწაული უკვე მეორეჯერ აკურთხებს რესტავრატორებად პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ათობით კურსდამთავრებულთ.

კურთხევის ცერემონიის ადგილი, რომელიც, როგორც შარშან, ნარიყალის ციხესიმაგრის გალავანთან გაიმართა, შემთხვევით როდი ამოირჩიეს. აქ ახალგაზრდობა მონაწილეობს ფართო სარესტავრაციო სამუშაოებში, რომელსაც უძღვება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო. სწორედ დროა საუბრისათვის მივმართოთ ირაკლი ციციშვილს, რომელიც ამ ორგანიზაციას მეთაურობს. სპეციალობით არქიტექტორის, დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოებულის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორის მრავალტიტულს სამი წლის წინათ რესპუბლიკის დედაქალაქის საპატიო ჰოქალაქის წოდებაც შეემატა. ეს მოხდა თბილისობა-84-ის დროს, მაგრამ ქალაქის ყოველ დღესასწაულს იგი სამართლიანად მიიჩნევს თავისად.

— მუდამ მახსოვს ილია ჭავჭავაძის სიტყვები ყოველი თბილელისადმი, რომელი კუთხისაც უნდა ყოფილიყო იგი, — თქვა ირაკლი ციციშვილმა. — ჩვენ ყველა უნდა ვემსახურებოდეთ ქალაქს ერთი აზრით, ერთი ოცნებით — კიდევ უფრო გავალამაზოთ, კეთილშობილყოთ ჩვენი დედაქალაქი. დიდი ადამიანის ეს ანდერძი გულისხმობს ხალხის ისტორიული ხსოვნის უდიდეს პატივისცემას და ყოველი განვლილი დღისათვის პასუხისმგებლობას.

დღევანდელი დღე ინჟინერ მანანა თიგიშვილისა და მექანიკოს ალექსანდრე ლიმორენკოს, ინჟინერ სურაი მამედოვასა და ჟურნალისტ არიფ დურსენოვის, კომკავშირული მუშაკების ეკა სვიმონიშვილისა და დავით მამალაძის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღე არის. ეს არის მათი ქორწილების დღე, რომელსაც მათ ღესილძის ქუჩის დღესასწაულის ყველა მონაწილე ულოცავს. ვინ არ ისურვებს გაიბიროს ახალგაზრდების სიხარული, რომლებიც ახალ ცხოვრებას იწყებენ...

### პურის კვერი მეგობრებს ირჩევს

**აშკარად** არ ეყოთ ფანტაზია მინი-გამოკითხვის მონაწილეთ, რომელიც მოკაწყვეთ თემაზე „რამდენი სახეობის პურის ჭამდუქცია ცხვება თბილისში?“. ყველაზე გაბედულმა მოპასუხეებმაც კი ვერ გადააჭარბეს ორმოცდაათის „ნიშნულს“.

არ აღუძრავთ ცნობისმოყვარეობას მკითხველს, მით უმეტეს, რომ ბევრი მთგანი თავად იყო ფიროსმანის სკვერში გამართულ ზეიმზე „პური ჩვენი არსობისა“. ნამდვილი თბილისელიც კი გოიდებობოდა, როცა ნახავდა, რამდენ მრავალსახოვანია შობლიური ქალაქის „პურის კვერი“: გაერთიანება „თბილისპურმა“ სადღესასწაულო მაგიდისათვის ქალაქელებს შესთავაზა 72 სახეობის პურეფუნთუშეული და 45 სახეობისა — საკონდიტრო ნაწარმი. „დედაქალაქური“, „თბილისური“, „ბოთის პური“, ბლიეთები, ნაზუქეული — ყველას ვერ ჩამოთვლი. მხოლოდ დასანანია, რომ ჩვეულებრივ დღეებში ასეთ სიუხვეს ვერ შეხვდები მაღაზიების დახლებზე...

ზეიმმა, დაიწყო თუ არა, საფიქრალი გაგვიჩინა, შევჩერდით „ნიანგის“ კუთხესთან. სტენდებზე წარმოდგენილი ფოტოსურათები შეულამაზებლად ასახავენ ჩვენს, ხშირად, უსულგულო დამოკიდებულებას პურისადმი. გაოცებული უყურებ — ნუთუ, ასეთი რამ შესაძლებელია? პურრთი, თურმე, ზოგჯერ ფეხბურთს თამაშობენ, პირუტყვს კვებავენ, ანდა, უბრალოდ, ქუჩაში ყრიან, თუმც ცნობილია, რომ იგი უნდა შეგროვდეს ამისათვის საეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

აი სხვა სურათიც, პირდაპირ საწინააღმდეგო — როგორ ექცეოდნენ პურს წინათ. ზეიმის ორგანიზატორებმა საყვარულით შეარჩიეს ძველი ჭურჭელი, რომელშიც პური ინახებოდა. ჩვენი წინაპრები გამხმარ პურსაც კი იყენებდნენ, მისგან ამზადებდნენ... ხარჩოს. სხვათა შორის, ძველი პურისაგან ამ და სხვა კერძების რეცეპტების გადაწერა დიასახლისებს შეეძლოთ „თბილისპურის“ მიერ ამ შემთხვევისათვის შემოთავაზებული პროსპექტებიდან.

უნდა აღინიშნოს: ზეიმმა გაცილებით მოიგო იმით, რომ მოიწვიეს ახალი მოქმედი პირები — კოოპერატივებში გაერთიანებული კონდიტერები. თბილისობაზე სამმა ასეთმა ფირმამ აჩვენა, რისი შნო აქვთ.

— მართლაც რომ კარგი დღესასწაული გამოვიდა, — თქვა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალშენებლის“ ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გურამ მეტონიძემ. — გულწრფელად ვიტყვი, რომ დღესასწაულმა დიდი სიამოვნება მომანიჭა, მაგრამ ჩვენი არსობის პურზეც ძალზე დამფიქრა. — თბილისობა ყოველთვის არაჩვეულებრივი მოვლენაა ყოველი ჩვენთაგანის ცხოვრებაში, მაგრამ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წინ იგი განსაკუთრებულ ელფერს იძენს. გასახარია, რომ ჩვენს დღესასწაულზე შეიკრიბა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მრავალი სტუმარი.

თბილისის საპატიო მოქალაქედ ამორჩიეს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის წელს, რომელმაც დასაბამი მისცა რუსი და ქართველი ხალხების ურღვევ კავშირს, — თქვა შემდეგ გურამ მეტონიძემ. — ეს მეგობრობა, რომელაც ჩვენი დიდი თანამემამულე ილია ჭავჭავაძეც განამტკიცებდა, კიდევ ერთხელ გამომეღვენდა რესპუბლიკისთვის ძნელი სტიქიური უბედურების ჟამს, როცა ერთად ვიზიარებდით ჭირსა და ლხინს...

### მშვიდობა და შრომა განუყოფელია

**თბილისობამ** სახელი მისცა ამ მოედანს. და ყოველთვის იგი გულუხვად უბრუნებდა მას მეგობრული შეხვედრების სითბოსა და შუქს, რომლითაც ესოდენ აქვს განთქმული სახელი საქართველოს დედაქალაქს ზეიმს. შემთხვევითი როდია, რომ ეს სახელი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მისი საამაყო დევიზის „თბილისი — შრომის, მეგობრობისა და ძმობის ქალაქი“.

ძმობის მოედანი, როგორც ყოველთვის, ზეიმის მთავარი ადგილია. იგი ქალაქელებისა და სტუმრების მიზიდულობის ცენტრი გახდა და გულში ჩაიკრა ათასობით ადამიანი. უკიდეგანო კარვად გადაჰფენია მათ მშვიდობიანი შემოდგომის ცა...

შუადღეა. გაისმის თბილისობის მოხმობის ნიშნები. იწყება ზეიმის კულმინაცია. მიკროფონთან არის პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე.

— გულს კარნახით, სულს ძახილით ოქროს შემოდგომის ამ სადღესასწაულო დღეს მეგობრობისა და ძმობის გზებმა მოიყვანა ჩვენთან სასურველი სტუმრები ჩვენი სამშობლოს მრავალ კუთხიდან, — თქვა მან. — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენთან, ძვირფასო მეგობრებო!

თბილისი მშვიდობიანი ქალაქია. ეს სახელი მან დაიმსახურა, როცა გახდა პარტნიორი ქალაქების მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი. დღეს რესპუბლიკის დედაქალაქს მეგობრული კონტაქტები აქვს საარბრიუკენთან და ინსბრუკთან, ლუბლიანასა და გრენობლთან, ევროპას, აგრეთვე ამერიკის კონტინენტის სხვა ქალაქებთან.

დღეს თბილისი სამართლიანად ატარებს „ქალაქი — მშვიდობის დესპანის“ სახელს. ესოდენ დიდი პატივი წილად ხვდა მას დედამიწის ორმოცდაათ ქალაქს შორის, რომელთა რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე ჩვენი მოსკოვი და ლენინგრადი, კიევი, მინსკი და ვოლგოგრადი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებულ მშვიდობის საერთაშორისო წლის მოწყობაში აქტიური მონაწილეობისათვის. საქართველოს დედაქალაქისათვის ამ სპატიო წოდების მინიჭების დიპლომი 1987 წლის თბილისობაზე გადასცა ქალაქს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსკოვის საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა გ. ა. დნეპროვსკომ.

ჯილდოს მიღებისას თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ო. ანდრიაძემ ყველა ქალაქელი სახელით დიდი მადლობა გამოთქვა მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში შეტანილი მათი წვლილის დიდი დაფასების გამო.

მშვიდობა და შრომა განუყოფელია. ამა ვინ, თუ არა უხუცესმა თბილისელმა მუშამ, სოციალისტური შრომის გმირმა კონსტანტინე ილურიძემ უნდა იცოდეს ეს. ქალაქის ინდუსტრიის ვეტერან საწარმოში — სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში მჭედლად მუშაობის 57 წლის მახანძლეზე მის ხელში სხვადასხვა ლითონს გაუვლია: საბრძოლოსაც და მშვიდობიანსაც. ლეგენდარული „კატიუშებისთვის“ ხუთი ათასი ტონა საბრძოლო მასალები დაამზადა მან დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში. თუმცა, არც მანამდე, არც ომის შემდეგ იარაღი ქარხნის ძირითადი პროდუქცია არასოდეს ყოფილა.

— მშვიდობა — ეს, უწინარეს ყოვლისა, ურთიერთგაგებაა, — ასე მიაჩნია კონსტანტინე ილურიძეს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაიმსახურა თბილისში მისი საპატიო მოქალაქის წოდება. — უამისოდ რიგიანად ვერც ერთ საქმეს ვერ გააკეთებ. ბედნიერი ვარ, როცა ჩემ ამ პოზიციას იზიარებენ ყმაწვილები, ისინი, ვინც ტის №7 სამშენებლო სამმართველოს მუშას გრიგოლ ტერეშჩენკოს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს სერგი დურმიშიძეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სოციალისტური შრომის გმირს რაშიდ ბეიბუთოვს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, თბილისის კონსერვატორიის პროფესორს ზურაბ ანჯაფარიძეს.

### სიცოცხლე — კლანეტას!

**სალამო** ხანს გამარჯვების პარკში შეკრებილ ათასობით თბილისელს სამართლიანად შეუძლია მიიჩნიოს თავი წილნაყარად იმ პოზიტიურ ძვრებთან, რომლებიც ახლა ხდება საბჭოთა კავშირამერიკის ურთიერთობაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრამ მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჯ. შულცთან, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. შევარდნაძისა და ჯ. შულცის მოლაპარაკებამ არსებითად მოაახლოვა ბირთვული შეიარაღების შემცირებასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა, უშიშროების დარგის სხვა საკითხების გადაწყვეტა. ეს დაადასტურეს საბჭოთა და ამერიკელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა გასულ პარასკევს გამართულ პრესკონფერენციაზე. მილიონობით ადამიანმა მთელ მსოფლიოში მოისმინა მათი განცხადებები, რომლებმაც ჩაუნერგეს იმედი, რომ მაინც მოხერხდება ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება.

საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ა. ალექსიძე, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ჯავახიშვილი, პოეტი ე. ნიჟარაძე, თბილისის საშენ მასალათა კომბინატის მუშა ი. გოდუნოვი, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოსწავლე ინდოელი სტუდენტი ი. პრავეტა თავიანთ ამაღელვებელ გამოსვლებში მოითხოვდნენ: „მშვიდობა — ხალხებს!“, „სიცოცხლე — პლანეტას!“. მიტინგზე შეკრებილმა ექვსი ათასეულმა თბილისელმა სოლიდარობა გამოუცხადა ამ მოთხოვნას — ხელი მოაწერონ მშვიდობისათვის მოწოდებას. მათ მიტინგი დაასრულეს ქვეყნად მშვიდობისათვის დაღუპული უცნობი ჯარისკაცის საფლავის ყვავილებით შემკობის ცერემონიით.

— მრავალი ასეთი მშვიდობისმოყვარული აქციის მომსწრე ვყოფილვარ, — თქვა „ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ მებრძოლი მსოფლიო ექიმების“ მოძრაობის საბჭოთა კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, თბილისის საპატიო მოქალაქემ სიმონ ხეჩინაშვილმა, — ზოგიერთ პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ ეს ფუჭი საქმეა, მაინც ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც მოგვესურვებაო! მაგრამ გადიოდა წლები, და ომისსაწინააღმდეგო მოძრაობა იქცა მძლავრ ძალად, რომელსაც დღეს არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო.

თბილისს, რომელსაც ამიერიდან მიენიჭა „მშვიდობის დესპანი ქალაქის“ საპატიო წოდება, ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგებაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. და ის, რომ ომისსაწინააღმდეგო მიტინგი დღეევანდელი დღესასწაულის ორგანული ნაწილი გახდა, კიდევ ერთხელ ადასტურებს ამას.

### ვკითხოთ მუზეებს, როგორია მათი დანიშნულება

**თბილისობის** უცვლელი სტუმარი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნინო რამიშვილი დღესასწაულზე თავის თხუთმეტი წლის შვილიშვილთან — ილიკო სუხიშვილთან ერთად მოვიდა, რომელიც, რა თქმა უნდა, ოცნებობს გახდეს ჰაპისა და სეხნიის მიერ 40 წელზე მეტი ხნის წინათ დაარსებული საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობი. და ეს თაობათა მემკვიდრეობითობის, ქართული ხელოვნების ეროვნული ტრადიციების ერთგულების კიდევ ერთი დასტურია.

— დამიჯერეთ, რომ ყველაზე სასურველი ტაშია ის, რომლითაც მშობლიურ მიწაზე გვხვდებიან,— თქვა ქალბატონმა ნინომ. ჩემთვის კი ყველაზე ძვირფას ჯილდოდ სამუდამოდ დარჩება თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩევა...

წლევანდელი ზეიმისათვის ანსამბლმა სპეციალურად მოამზადა ახალი ცეკვა — „თბილისი“, რომელიც სრულდება გიორგი ცაბაძის სიმღერებზე. მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული კოლექტივის მსახიობთა გამოსვლის ადგილად იქცა ძმობის მოედანი და რიყე. მაგრამ ყველგან სუფევდა ქართული ცეკვის შესანიშნავი ხელოვნება, იგი იყო დღესასწაულის სტუმარი ქალაქის ნებისმიერ ნაწილში. და ამ დღეს გამოსული პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივების, სტუდენტებისა და მოსწავლეების, უბრალოდ ყველა მსურველის ენთუზიაზმი მნიშვნელოვანწილად გამოწვეული იყო ნინო რამიშვილის შომაჯადოებელი ხელოვნების ზეგავლენით.

ქალაქის ერთ-ერთ კუთხეში სტუმრებს ხვდებოდა ვიოლინოთა ნაზი ჰანგები. მათი ინტერნაციონალური ყიერადობა იყო პრელუდია ახალგაზრდობის ფესტივალისა „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, რომელიც დაიწყო გორგასლის მოედნიდან. აქ შეკრებილ მრავალ ენაზე მოლაპარაკე ქალიშვილებსა და ჭაბუკებს თარჯიმანი არ დასჭირვებიათ, ყველანი ერთ, ყველასათვის კარგად გასაგებ მეგობრობის ენაზე ლაპარაკობდნენ.

ლამაზად იყო გაფორმებული რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ბერძნული, ქართული ეროვნული ეთნოგრაფიული კუთხეები. აქვე ყღერდა მუსიკა: გამოდიოდნენ პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მხატვრული კოლექტივები, ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სახლისა და თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ირაგის ბერძნული ანსამბლები „სირტაკი“ და „ხოროსი“. მათ ცვლიდნენ სომხური ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლი „საიათნოვა“, ქართული ბავშვთა ქორეოგრაფიული ჯგუფი.

აბანოთუბნისაკენ მიმავალ გზაზე კი მსურველებს სთავაზობდნენ ნიღბის გაკეთებას. ახალგაზრდულ კარნავალ „რეტროზე“ შეიკრიბა ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების ასობით სტუდენტი.

ახალგაზრდული ზეიმი ღირსშესანიშნავი მოვლენით დასრულდა. აქ, აბანოთუბანში გაიმართა ახალგაზრდა მხატვართა კლუბის გახსნა. ძველი აბანოს ადგილას, ამჟამად რესტავრირებულ და მყუდრო შენობაში განლაგდა ახალი კულტურის კერა. კლუბის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ოთახს „ფიროსმანის“ ოთახი ეწოდა. ამით გამოიხატა არა მარტო პატივისცემა შესანიშნავი მხატვრისადმი, არამედ მისი შემოქმედებითი იდეალების ერთგულების აღთქმაც...

რიყის მოედნიდან დღესასწაულმა რესპუბლიკის მოედანზე გადაინაცვლა, სადაც დიდი ახალგაზრდული საღამო გაიმართა. დიდხანს არ შემწყდარა აქ სიმღერები და ცეკვები, სიცილი და მხიარულება, რითაც ასე უხვად დაჯილდოდა 1987 წლის თბილისობამ ყველა, ვინც მოვიდა ამ ლამაზ დღესასწაულზე, ღირსეულად რომ დაადგირგვინა რესპუბლიკის დედაქალაქის მეცხრე დღეობა.

**რეპორტაჟს უძღვებოდნენ საქინფორმის კორესპონდენტები.**

* * *

**თბილისობაზე გადაღებული ფოტოსურათების ავტორია შ. კრიმსკი.**

# ბ. ვ. გეგელაშვილი

**ბ. ვ. გეგელაშვილი.**

ბ. ვ. გეგელაშვილი დაიბადა 1927 წელს. 1947 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ინსპექტორად. 1953 წელს ბ. ვ. გეგელაშვილმა დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1969 წელს სადოქტორო დისერტაცია ნეირომორფოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.

1958 წლიდან მას ირჩევენ ნევროლოგიის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდგომ ამავე ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, ჰისტოფიზიოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

1959 წლიდან ბ. ვ. გეგელაშვილი მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ეწევა ჟურნალისტურ საქმიანობას. იყო ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ პასუხისმგებელი მდივანი, ხოლო შემდგომ, გარდაცვალებამდე, ამავე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1968 წელს მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორგანო გაზეთი „სახალხო ჯანმრთელობა“, რომელსაც რედაქტორობდა მისი არსებობის მანძილზე.

1973 წელს ბ. ვ. გეგელაშვილი ინიშნება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ. ამ პერიოდში განსაკუთრებით გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1953 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი კარლო ვლადიმერის ძე

**გეგელაშვილი.**

ბ. ვ. გეგელაშვილი დაიბადა 1927 წელს. 1947 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ინსპექტორად. 1953 წელს ბ. ვ. გეგელაშვილმა დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1969 წელს სადოქტორო დისერტაცია ნეირომორფოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.

1958 წლიდან მას ირჩევენ ნევროლოგიის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდგომ ამავე ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, ჰისტოფიზიოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

1959 წლიდან ბ. ვ. გეგელაშვილი მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ეწევა ჟურნალისტურ საქმიანობას. იყო ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ პასუხისმგებელი მდივანი, ხოლო შემდგომ, გარდაცვალებამდე, ამავე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1968 წელს მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორგანო გაზეთი „სახალხო ჯანმრთელობა“, რომელსაც რედაქტორობდა მისი არსებობის მანძილზე.

1973 წელს ბ. ვ. გეგელაშვილი ინიშნება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ. ამ პერიოდში განსაკუთრებით გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1953 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი კარლო ვლადიმერის ძე

**გეგელაშვილი.**

ბ. ვ. გეგელაშვილი დაიბადა 1927 წელს. 1947 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ინსპექტორად. 1953 წელს ბ. ვ. გეგელაშვილმა დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1969 წელს სადოქტორო დისერტაცია ნეირომორფოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.

1958 წლიდან მას ირჩევენ ნევროლოგიის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდგომ ამავე ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, ჰისტოფიზიოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

1959 წლიდან ბ. ვ. გეგელაშვილი მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ეწევა ჟურნალისტურ საქმიანობას. იყო ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ პასუხისმგებელი მდივანი, ხოლო შემდგომ, გარდაცვალებამდე, ამავე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1968 წელს მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორგანო გაზეთი „სახალხო ჯანმრთელობა“, რომელსაც რედაქტორობდა მისი არსებობის მანძილზე.

1973 წელს ბ. ვ. გეგელაშვილი ინიშნება საქართ